



## ეკონომიკა

**ეკონომიკური ზრდა:** საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2023 წლის სექტემბერში საქართველოს ეკონომიკა 5.1%-ით გაიზარდა, რაც თანხვედრაშია ჩვენს მოლოდინთან. ჯამურად, 2023 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოს ეკონომიკა წლიურად 6.8%-ით გაიზარდა. სექტემბერში ზრდა დაფიქსირდა საფინანსო საქმიანობის, მშენებლობის, ვაჭრობის და სასტუმროების და რესტორნების დარგებში. ამასთან, რეალური ზრდა შემცირდა დამამუშავებელი მრეწველობის, ტრანსპორტის და უძრავი ქონების დარგებში. ჩვენ ვინარჩუნებთ 2023 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზს 6.8%-ის დონეზე, ხოლო 2024 წლისთვის 5.0%-იან ზრდას ვპროგნოზირებთ (იხილეთ სრული მაკრო პროგნოზები აქ).

**ინფლაცია:** 2023 წლის ოქტომბერში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია, მცირედით, 0.8%-მდე გაიზარდა, წინა თვეში დაფიქსირებული 0.7%-ის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ოქტომბერში 2016 წლის ნოემბრის შემდეგ სურსათის და უალკოჰოლო სასმელები ფასები პირველად შემცირდა წლიურად, რამაც თითქმის გაანეიტრალა ნავთობის ფასებიდან გაზრდილი ზეწოლა ინფლაციაზე. ამასთან, აგრეგირებულ დონეზე, ოქტომბერში იმპორტირებული და შერეული საქონლის ინფლაცია კვლავ უარყოფითი იყო და ადგილობრივად წარმოებული საქონლის ფასების კლება როგორც მოსალოდნელი იყო გაგრძელდა და 4.5% შეადგინა (+5.3% წ/წ სექტემბერში). რაც შეეხება საბაზო ინფლაციას, რომელიც კალათიდან გამოორიცხავს სურსათის, ენერგომატარებლების და თამბაქოს ფასებს, წლიურად 2.1%-მდე შემცირდა, წინა თვის 2.5%-დან.

2023 წლის ოქტომბერში წლიური ინფლაციის ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებში: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (-1.2% წ/წ, -0.42პპ), ჯანდაცვა (-3.2% წ/წ, -0.33პპ), ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო (+6.6%, +0.45პპ) და საცხოვრებელი, წყალი, ელ. ენერჯია, აირი (+4.2%, +0.43პპ). 2023 წლის სექტემბერში წინა თვესთან შედარებით ადგილი ჰქონდა 0.6%-იან ინფლაციას, რაზეც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფასების ზრდამ ტრანსპორტის (+3.6%, +0.45პპ) კატეგორიაში. ჩვენი პროგნოზით, საშუალო წლიური ინფლაცია 2023 წელს 2.7%, ხოლო 2024 წელს 3.5% იქნება.

**ტურიზმის შემოსავლები:** 2023 წლის მე-3 კვარტალში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები წლიურად 5.3%-ით გაიზარდა და 1.45 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, სებ-ის თანახმად. ტურიზმის შემოსავლებში ტოპ ქვეყნები იყვნენ: რუსეთი (285.3 მლნ აშშ დოლარი, მთლიანი შემოსავლების 19.7%), თურქეთი (220.5 მლნ აშშ დოლარი) და ევროკავშირი (212.0 მლნ აშშ დოლარი). ჯამურად, 2023 წლის იანვარ-სექტემბერში ტურიზმის შემოსავლებმა 3.25 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა (+29.2% წ/წ). ჩვენი პროგნოზით, 2023 წელს ტურიზმის შესავლები 4.2 მლრდ აშშ დოლარს (+19.0% წ/წ), ხოლო 2024 წელს 4.5 მლრდ აშშ დოლარს (+7.0% წ/წ) მიაღწევს.


გთხოვთ იხილოთ მნიშვნელოვანი შეტყობინება ამ დოკუმენტის ბოლო გვერდზე.

### ეკონომიკური ინდიკატორები

	2022	2023F
რეალური მშპ-ს ზრდა	10.1%	6.8%
მშპ ერთ სულზე (ppp)	20,243	22,043
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	6,672	8,050
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	9.8%	0.8%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	4.9	5.3
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	4.6%	4.5%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	3.1%	2.8%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	39.8%	38.4%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Ba2	


წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტი & თაგარტი  
\*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

### რეალური მშპ-ის წლიური ზრდა



წყარო: საქსტატი

### წლიური ინფლაცია



წყარო: საქსტატი



# ფულადი ბაზარი

## გასულ კვირას სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონი არ გამართულა.


უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2023 წლის 7 ნოემბერს, სადაც 6-თვიანი 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და 2-წლიანი 40 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

## სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2023 წელი

ვალიანობა	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება მლნ ლარი*
6-თვე	200	40	390
1-წელი	200	40	
2-წელი	427	80	
5-წელი	938	120	7,311
10-წელი	685	140	
<b>სულ</b>	<b>2,450</b>	<b>420</b>	<b>7,701</b>


წყარო: ფინანსთა სამინისტრო  
\* 2023 წლის სექტემბრის მდგომარეობით

## სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ

## განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სებ

## მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სებ, საქსტატი

## ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ  
შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას



# ობლიგაციების გლობალური ბაზრები

გასულ კვირას:

- აშშ-ს 10-წლიანი სახაზინო ობლიგაციის შემოსავლიანობა 4.85%-დან 4.54%-მდე შემცირდა, ხოლო 10 წლიანი გერმანული სახაზინოს (ევროპული ბენჩმარკი) შემოსავლიანობა 2.84%-დან 2.64%-მდე დაეცა.
- აშშ-ს ფედერალურმა რეზერვმა (FED) და ინგლისის ცენტრალურმა ბანკმა საპროცენტო განაკვეთები უცვლელი დატოვეს, 5.25%-5.50%-ზე და 5.25%-ზე, შესაბამისად.
- აშშ-ში მოლოდინზე უფრო სუსტი დასაქმების სტატისტიკა გამოქვეყნდა, რის ფონზეც ბაზარი ნაკლებად ელოდება, რომ დეკემბერში FED-ი განაკვეთს 0.25%-ით გაზრდის.


სახელმწიფო ობლიგაციები, შემოსავლიანობა %	უახლესი	4Q23F	1Q24F	2Q24F
US 2y Treasury	4.83	4.97	4.65	4.27
US 5y Treasury	4.49	4.54	4.3	4.06
US 10y Treasury	4.54	4.53	4.31	4.06
US 30y Treasury	4.77	4.71	4.54	4.35
German 2y Bund	3.04	2.95	2.77	2.52
German 10y Bund	2.64	2.64	2.52	2.40

საპროცენტო განაკვეთი, %	უახლესი	1 კვირის წინ	1 თვის წინ	1-იან 2023
SOFR	5.33	5.31	5.33	4.30
EURIBOR (3-თვიანი)	3.97	3.95	3.96	2.13


კორპორაციები, შემოსავლიანობა %	უახლესი	1 კვირის წინ	1 თვის წინ	1-იან 2023
US Inv. Grade	6.18	6.29	6.29	5.48
Eurozone Inv. Grade	4.32	4.49	4.53	4.04
EM Inv. Grade	6.18	6.34	6.24	5.46
US High Yield	9.13	9.53	9.36	8.99
EM High Yield	11.58	11.89	11.73	11.09

წყარო: Bloomberg  
შენიშვნა: სახელმწიფო ობლიგაციების შემოსავლიანობის პროგნოზებისთვის აღებულია მდლიანური პროგნოზები ტოპ-საინვესტიციო ბანკებისაგან.


**FED-ის განაკვეთი (ზედა ზღვარი)**



**ECB-ის ძირითადი განაკვეთი**




**აშშ-ს სახელმწიფო ობლიგაციების შემოსავლიანობის მრუდი**



1M 2M 3M 4M 6M 1Y 2Y 3Y 5Y 7Y 10Y 20Y 30Y

— შემოსავლიანობა, მიმდინარე  
— შემოსავლიანობა, 1 თვის წინ  
— შემოსავლიანობა, 6 თვის წინ

**გერმანიის სახელმწიფო ობლიგაციების შემოსავლიანობის მრუდი**



1M 3M 6M 9M 1Y 2Y 3Y 4Y 5Y 7Y 10Y 20Y 30Y

— შემოსავლიანობა, მიმდინარე  
— შემოსავლიანობა, 1 თვის წინ  
— შემოსავლიანობა, 6 თვის წინ

წყარო: FED, ECB, Bloomberg, გალტი & თაგარიდი



# ობლიგაციები

## ქართული ევროობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამომშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-21	Apr-26	BB/BB/Ba2	89.69	7.42	286.97
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Apr-21	Jun-28	BB-/BB-/	85.55	7.79	353.73
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	Mar-19	n/a	B-/-/	99.38	12.87	669.54
SILKNET 01/27	USD	300	8.375%	Jan-22	Jan-27	BB-/B1	98.52	8.91	449.06
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-19	Jun-24	BB-/B2	99.04	7.36	194.57
TBC PERP	USD	125	10.775%	Jul-19	n/a	B-/-/	97.52	13.44	845.12

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე  
წყარო: Bloomberg

## ქართული ადგილობრივი ობლიგაციების ძირითადი მონაცემები


გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამომშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	
<b>USD</b>									
Bakhvi Hydro Power	USD	1.2	9.40%	Nov-17	Nov-27	-/-/-	n/a	n/a	
Lisi Lake Development	USD	12	6.50%	Dec-21	Dec-24	-/-/-B+	99.73	6.75	
IG Development	USD	15	6.75%	Jan-22	Jan-24	-/-/-	99.88	7.13	
Geosteel	USD	15	9.00%	Apr-22	Apr-25	-/-/-	100.00	9.00	
Energy Development Georgia	USD	10	8.50%	Jun-22	Jun-25	-/-/-	n/a	n/a	
IG Development	USD	15	8.50%	Jul-22	Jul-24	-/-/-	99.81	8.75	
Georgia Real Estate	USD	35	8.50%	Oct-22	Oct-24	-/-/-	99.99	8.50	
Geo. Renewable Power Oper.	USD	80	7.00%	Oct-22	Oct-27	-/-/-	100.00	7.00	
Lisi Lake Development	USD	10	8.50%	Dec-22	Dec-24	-/-/-B+	100.00	8.50	
Silk Real Estate	USD	20	9.00%	Apr-23	Apr-26	-/-/-	100.00	9.00	
Tegeta Motors	USD	20	8.50%	Apr-23	Apr-25	-/-/-BB-	100.00	8.50	
Georgia Capital	USD	150	8.50%	Aug-23	Aug-28	-/BB-/	101.20	8.19	
Silk Real Estate	USD	20	9.25%	Sep-23	Sep-26	-/-/-	101.21	8.63	
Prime Concrete	USD	7.5	10.50%	Sep-23	Sep-27	-/-/-	n/a	n/a	
Austrian-Georgian Development	USD	15	9.00%	Oct-23	Oct-25	-/-/-	n/a	n/a	
<b>EUR</b>									
Tegeta Motors	EUR	5	7.00%	Apr-23	25-Apr	-/-/-BB-	100	7	
<b>GEL</b>									
Geo. Beer Company	GEL	25	Ref rate + 4.00%	Dec-18	Dec-23	-/-/-BB-	n/a	n/a	
Vian (Evex)	GEL	50	Ref rate + 3.10%	Nov-19	Nov-24	-/-/-BB	n/a	n/a	
Nikora Trade	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-21	Nov-24	-/-/-BB-	n/a	n/a	
Nikora	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-22	Nov-25	-/-/-BB-	n/a	n/a	
MFO MBC	GEL	15	TIBR3M + 4.50%	Dec-22	Dec-24	-/-/-B	n/a	n/a	
Tegeta Motors	GEL	150	TIBR3M + 3.50%	Dec-22	Dec-25	-/-/-BB-	n/a	n/a	
MFO Crystal	GEL	25	TIBR6M + 4.75%	Dec-22	Feb-25	B-/	n/a	n/a	
MFO Rico Express	GEL	130	TIBR1D + 2.00%	Mar-23	Mar-26	-/-/-B+	n/a	n/a	
TBC Leasing	GEL	100	TIBR3M + 3.00%	Mar-23	Mar-26	BB-/	n/a	n/a	
TBC Leasing	GEL	15	TIBR3M + 2.75%	Jun-23	Jun-26	BB-/	n/a	n/a	
Tegeta Motors	GEL	20	TIBR6M + 3.50%	Jun-23	Dec-25	-/-/-BB-	n/a	n/a	

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე  
წყარო: Bloomberg, გალტ & თაგარტი




# ობლიგაციები

**ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა)**




წყარო: Bloomberg

**კორპორატიული საჯარო ობლიგაციების ნაშთი, მლნ ლარი**



წყარო: გალტ & თაგარტი  
შენიშვნა: 2023 წლის უახლესი მარცვლებები

**კორპორატიული საჯარო ობლიგაციების ნაშთი სექტორების მიხედვით**




წყარო: გალტ & თაგარტი



## აქციები


### საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



წყარო: Bloomberg

**საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN)** აქციები დაიხურა 34.45 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +8.16% წინა კვირასთან შედარებით და -5.62% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 257 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 32.00 - 34.90 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 53 ათასი აქცია შეადგინა.


### თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

**თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN)** აქციები დაიხურა 27.70 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +5.73% წინა კვირასთან შედარებით და -6.10% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 208 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 26.50 - 28.50 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 38 ათასი აქცია შეადგინა.

### საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

**Georgia Capital-ის (CGEO LN)** აქციები დაიხურა 9.42 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +6.80% წინა კვირასთან შედარებით და -1.26% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 271 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 8.71 - 9.71 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 41 ათასი აქცია შეადგინა.



## აქციები

### აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტ ალიზ.	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E			P/B		
								2022	2023F	2024F	2022	2023F	2024F
Bank of Georgia	BGEO	GBP	34.45	1,581	15.2%	46.6%	32.2%	2.74x	3.91x	4.07x	0.90x	1.00x	0.84x
TBC	TBC	GBP	27.70	1,534	17.1%	31.3%	22.0%	4.10x	4.77x	4.19x	1.04x	1.09x	0.93x
Halyk Bank	HSBK	USD	12.84	3,502	-4.9%	28.4%	15.7%	2.69x	2.34x	2.30x	0.78x	0.73x	0.62x
Akbank	AKBNK	TRY	30.00	156,000	93.3%	111.4%	53.5%	1.40x	2.23x	2.58x	0.55x	0.77x	0.66x
Garanti	GARAN	TRY	48.18	202,356	76.1%	108.0%	60.4%	1.91x	2.93x	3.07x	0.73x	1.10x	0.91x
Isbank	ISCTR	TRY	20.96	209,599	97.7%	140.9%	64.1%	0.84x	3.56x	2.98x	0.60x	0.93x	0.72x
PKO	PKO	PLN	43.53	54,413	37.7%	68.1%	43.7%	10.98x	9.83x	8.13x	1.03x	1.22x	1.15x
PEKAO	PEO	PLN	128.25	33,662	34.7%	66.3%	48.3%	na	6.32x	7.20x	na	1.20x	1.11x
Millennium	MIL	PLN	7.20	8,728	47.0%	69.9%	57.1%	na	2.91x	3.75x	1.04x	1.25x	1.15x
Mbank	MBK	PLN	528.40	22,439	54.6%	102.6%	78.5%	na	6.19x	6.83x	1.10x	1.41x	1.24x
BRD	BRD	RON	17.24	12,015	43.7%	51.8%	32.6%	6.81x	8.00x	9.22x	1.31x	1.51x	1.51x
Banca Transilvania	TLV	RON	22.38	17,874	33.0%	44.7%	26.8%	na	6.80x	7.00x	1.60x	1.43x	1.30x
Komercni	KOMB	CZK	690.00	131,134	0.3%	-4.9%	5.3%	8.36x	8.04x	8.84x	1.21x	1.02x	0.98x
<b>Mean</b>								<b>4.42x</b>	<b>5.22x</b>	<b>5.40x</b>	<b>0.99x</b>	<b>1.13x</b>	<b>1.01x</b>
<b>Median</b>								<b>2.74x</b>	<b>4.77x</b>	<b>4.19x</b>	<b>1.04x</b>	<b>1.10x</b>	<b>0.98x</b>

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



# მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის უზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიერ იქნება სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტიციებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილულა, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინააღმდეგო უკავშირებლობის ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაკეთდა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. შესაძლოა მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევეს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

**გალტ ენდ თაგარტი**  
**მისამართი:** პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო  
**ტელ:** + (995) 32 2401 111  
**ელ. ფოსტა:** research@gt.ge

საინვესტიციო-საბანკო მიმართულება: ib@gt.ge  
საბროკერო: sales@gt.ge  
კვლევები: research@gt.ge